საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. დეკემბრის 25 № 34 ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება

255. სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის მოწვევის ვადის შესახებ.

მრეწველობა

256. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში აბაშის ჰიდრო-ელექტროსადგურის გადაცემის შესახებ.

257. საქართველოს სატყეო ტრესტის ზოგიერთი საწარმოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გადაცემის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

258. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან „ცეკავშირის“ სადარგო შენაერთის „საქრძეფრინველის“ გამგებლობაში სამტრედიის საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურის გადაცემის შესახებ.

სათევზო და სანადირო მეურნეობა

259. საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.

სახელმწიფო დაზღვევა

260. საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

261. 1934-1935 წელს დაფნის ფოთლის დამზადების შესახებ.

კავშირგაბმულობა

262. რადიო-მომსახურეობის სასყიდლის შესახებ.

## სახელმწიფო წყობილება

### 255. დადგენილება ც. ა. კ.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის მოწვევის ვადის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თავისი 1934 წლის აგვისტოს 26-ის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-28 №-რი, მუხ. 209) ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-VII ყრილობის მოწვევა, დანიშნული 1934 წლის დეკემბრის 28-სათვის, გადატანილ იქნეს 1935 წლის იანვრის 10-სათვის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1934 წ. დეკემბრის 1.
ტფილისი.

---

## მრეწველობა

### 256. დადგენილება ს.კ.ს

**საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში აბაშის ჰიდრო-ელექტროსადგურის გადაცემის შესახებ.**

„სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავენერგოს" ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს გამგებლობიდან ზოგიერთი საწარმოს და საშენებლის ა/კსფსრ ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გადაცემის შესახებ „გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ნოემბრის 16-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—მიიღოს თავის გამგებლობაში „გლავენერგოს" ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოსაგან აბაშის ჰიდრო-ელექტროსადგური 1934 წლის დეკემბრის 1-ის ბალანსის აქტივით და პასივით, იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივლისის 7-ის თარიღის და 789 №-ის დადგენილებით „სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის მათ მიერ გადაცემულ ქონებაზე ანგარიშის გასწორების შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 53 №-ი, მუხ. 324),—და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

2. აღნიშნული სადგურის მისაღებად მოწყობილ იქნეს მთავრობის კომისია ამხ. ლ. თიკანაძის თავმჯდომარეობით და" ა/კ. ენერგოს", საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა შედგენილობით და საბჭოთა კონტროლის წარმომადგენლის მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სადგურის ფაქტიურად მიღების ვადად დაინიშნოს 1934 წ. დეკემბრის 15, ხოლო დასკვნითი ბალანსების შედგენის ვადად—1934 წ. დეკემბრის 31.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. ნოემბრის 28.
ტფილისი.

---

## 257. დადგენილება ს.კ.ს.

### საქართველოს სატყეო ტრესტის ზოგიერთი საწარმოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში გადაცემის შესახებ.

„ადგილობრივი მრეწველობის შედგენილობაში შემავალ საწარმოთა შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 29-ის თარიღის, და 2285 №-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 51 №-ი, მუხ. 398) და „სატყეო მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 16-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის 1934 წ. ოქტომბრის 10-ის თარიღისა და 672 №-ის ბრძანების თანახმად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის შედგენილობაში გადასაცემად დანიშნული, ქვემოდ დასახელებული საწარმონი გადაიცეს:

ა) საჩხერის ხე-ტყის სახერხი ქარხანა და მარელისის საავეჯო ფაბრიკა—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში;

ბ) ტფილისის საავეჯო ფაბრიკა—ტფილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში;

გ) კოდორის ხე-ტყის სახერხი ქარხანა—აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში;

დ) ბათომის ცენტრალური ხის დამმუშავებელი ქარხანა—აჭარისტანის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში;

ე) ჭურისხევისა და ცხინვალის ხე-ტყის სახერხი ქარხნები—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს გამგებლობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ფოთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა—ფოთის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში;

ზ) ქუთაისის ხე-ტყის სახერხი ქარხანა—ქუთაისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში;

თ) ახალციხის ხე-ტყის სახერხი ქარხანა—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში;

ი) სალხინო-მარტვილის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ქონება და გაწყობილობა—მარტვილის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში;

კ) ხარისთვალის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ქონება და განწყობილობა—ენუქიძის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაში.

**2.** წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოებს მიიღონ ზემოთ ჩამოთვლილი საწარმონი საქართველოს სატყეო ტრესტისაგან 1934 წლის დეკემბრის 1-ის ბალანსის აქტივით და პასივით იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივლისის 7-ის თარიღისა და 789 №-ის დადგენილებით „სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის მათ მიერ გადაცემული ქონების თაობაზე ანგარიშის გასწორების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 53 №-ი, მუხ. 324) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

**3.** საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გადასაცემ სატყეო-სამრეწველო საწარმოთა მიღება-ჩაბარებისათვის მოწყობილ იქნეს მიღება-ჩაბარების ცენტრალური კომისია შემდეგი შედგენილობით: სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამხ. ვასილიევი, საქართველოს სატყეო ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. პაპავა, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მახარაძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. ჯიჯილავა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორის წარმომადგენელნი; კომისიაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კონტროლის წარმომადგენელი.

აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სათანადო ობიექტების მიღება-ჩაბარებისათვის მოწყობილ იქნეს კომისიები შემდეგი შედგენილობით: სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი ფილიალის ხელმძღვანელი.

საწარმოთა ფაქტიური ჩაბარება და მიღება უნდა მოხდეს ჩამბარებელი და მიმღები ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მეშვეობით, და შედგენილ უნდა იქნეს სათანადო აქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სატყეო ტრესტისაგან ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში ყველა ზემოაღნიშნული საწარმოს ფაქტიური მიღების ვადად დადგენილ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 5, ხოლო დასკვნითი ბალანსების შედგენის ვადად—1935 წ. იანვრის 1.

5. საქართველოს სატყეო ტრესტიდან ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გარდამავალ საწარმოთ დაეკისროს მათი 1934 წლის გეგმით გათვალისწინებული ყველა საწარმოო დავალება და მიწოდება-ჩაბარების ვალდებულება, და სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოებს დაეტოვოს მოვალეობა ამ საწარმოთა დაფინანსებისა ახალ წარმოებათა ათვისებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული სახსრიდან.

6. დაევალოს საქართველოს სატყეო ტრესტს—უზრუნველყოს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გარდამავალი საწარმონი ნედლეულით თავის სატყეო-სამრეწველო მეურნეობებიდან 1934 წელს სატყეო პროდუქციის დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესაბამისად.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ერთად:

ა) გააზუსტოს ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გადასული ხეტყის სახერხ და ხის დამმუშავებელ საწარმოთა 1935 წლის საწარმოო პროგრამები;

ბ) შეიმუშაოს ღონისძიებანი აღნიშნულ საწარმოთა 1935 წელს ნედლეულით უზრუნველყოფისათვის;

გ) შეიმუშაოს აღნიშნულ საწარმოთათვის, სანედლეულო ბაზის სახით, სათანადო ტყის ფონდების მიჩენის გეგმა და ამ საწარმოთა 1935 წლის საწარმოო პროგრამის უზრუნველსაყოფად სატყეო პროდუქციის დამზადების წესი.

სათანადო მოხსენებები წარმოდგენილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 10-ისა.

მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავიანთი მოსაზრებანი ზემოაღნიშნული საკითხების გამო, რაც ეხება მათ ქვემდებარე ადგილობრივი მრეწველობის შედგენილობაში გადასულ ხეტყის სახერხ და ხის დამმუშავებელ საწარმოთ.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იმ ღონისძიებათა პროექტი, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში გადასულ ხე-ტყის სახერხ და ხის დამმუშავებელ საწარმოთა უზარალოდ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე სატყეო მრეწველობის დაგეგმვისა და მოწესრიგებისათვის, რესპუბლიკანური ქვემდებარეობის სატყეო-სამრეწველო საწარმოთა უშუალო გამგებლობისათვის და აგრეთვე სატყეო სარეწაო კოოპერაციის მუშაობის მეთვალყურეობისა და ხელის შეწყობისათვის მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში სათანადო სადარგო სამმართველო.

აღნიშნული სადარგო სამმართველოს შტატი განისაზღვროს 11 საშტატო ერთეულით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 26.
ტფილისი.

## მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

### 258. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან „ცეკავშირის“ სადარგო შენაერთის „საქრძეფრინველის“ გამგებლობაში სამტრედიის საინკუბატორო მეფრინველეობის სადგურის გადაცემის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამტრედიის საინკუბატორო მეფრინველეობის სადგური საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან გადაეცეს „ცეკავშირის“ სადარგო შენაერთის „საქრძეფრინველის“ გამგებლობაში.

2. აღნიშნული გადაცემა უნდა მოხდეს 1934 წ. ნოემბრის 1-ის ბალანსით იმ წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. ავგისტოს 26-ის თარიღისა და 371-№ ის და 1932 წლის ივლისის 7-ის თარიღისა და 789 №-ის დადგენილებებით „სახელმწიფო დაწესებულებებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის მათ მიერ გადაცემული ქონების თაობაზე ანგარიშის გასწორების შესახებ“ (სსრკ. კან. კრ. 1931 წ. 56 №-ი, მუხ. 365; 1932 წ. 53 №-ი, მუხ. 324) და ამ დადგენილებათა განსავითარებლად გამოცემული სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

სადარგო შენაერთმა „საქრძეფრინველმა“ მიღებული ქონების ღირებულება უნდა გადაუხადოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) საბრუნავ ფასეულობათა—ერთი თვის ვადაზე დღიდან დასკვნითი ბალანსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებისა და ბ) ბრუნვაგარეშე ფასეულობათა—ხუთი წლის ვადაზე, დაწყებული 1935 წლიდან, ყოველკვარტალურ თანაბარ ნაწილებად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „ცეკავშირს“—მოაწყონ მიღება-ჩაბარების კომისია მიმღები და ჩამბარებელი ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთაგან.

4. დასკვნითი ბალანსის შედგენის ვადად დანიშნულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 15.

5. მიენდოს „ცეკავშირს“ — შემოიტანოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში აღნიშნული სადგურის მუშაობის გაფართოებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროექტი ამ სადგურის საფრინველო-სამრეწველო ფაბრიკად გადაკეთების მიზნით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 28.
ტფილისი.

## სათევზო და სანადირო მეურნეობა

### 259. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სათევზო და ზღვის მხეცთა ხოცვის მრეწველობის ტრესტი—„საქთევზი“, და მოქცეულ იქნეს მასში:

ა) ბათომის სარაიონო სათევზო ქარხანა, მასზე სანავჭურჭლო-სარემონტო სახელოსნოს (ბათომში) მიერთებით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დამხმარე ცეხის სახით;

ბ) ფოთის სარაიონო სათევზო ქარხანა;

გ) ტფილისის სარაიონო სათევზო სარეწაო;

დ) ზღვის მხეცთა ხოცვის სარეწაო;

ე) სათევზო მეურნეობა „ჯაპანა“, მასზე მშენებლობაში მყოფი სატბო მეურნეობების „აბაშისა“ (ტობოგის ტბა) და „სამტრედის“ მიერთებით;

ვ) „თევზმხეცმომარაგებაგასაღება“.

2. აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე მყოფი საწარმონი გამოყოფილ იქნეს საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოდან და გადაიცეს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებ-

ეროვნული

ლობაში, ხოლო საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველო გაუქმებულ იქნეს.

3. ტრესტ „საქთევზის“ შტატი დამტკიცებულ იქნეს 29 ½ საშტატო ერთეულის რაოდენობით, დაეკისროს რა ტრესტ „საქთევზის“ აპარატს აგრეთვე ტფილისის სათევზო სარეწაოს და „თევზმხეცმომარაგებაგასაღების“ მომსახურეობა.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) განსაზღვროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ტრესტის საწესდებო კაპიტალი 1935 წ. იანვრის 1-ლის ბალანსის მდგომარეობის მიხედვით;

ბ) დაამტკიცოს ტრესტის წესდება;

გ) წარმოადგინოს დასამტკიცებლად ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებული პროექტი დადგენილებისა ტრესტ „საქთევზისათვის“ 1935 წელს საბრუნავი სახსრის მიცემის შესახებ.

5. დაეკისროს ტრესტ „საქთევზს“ წარმოების ხელმძღვანელობა და მეთევზეთა საკოლმეურნეო ცენტრიდან გამოყოფილ მეთევზეობის კოლექტიურ მეურნეობათა საწარმოო მომარაგება, და მიეცეს მას წინადადება, კოლექტიური მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშაოს ერთი თავის ვადაზე ტიპური ხელშეკრულება, რომლითაც რეგლამენტირებულ იქნება კოლექტიური მეურნეობებისა და სახმრეწველობის ურთიერთობა თევზის ნედლეულის ჩაბარების და სასყიდლის გადახდისა და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო მომარაგების განხორციელების სფეროში, და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

6. სახელმწიფოსათვის თევზის ნედლეულის მტკიცე ჩაბარების გეგმა, რაც დამტკიცებულია საკავშირო საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სსრ მეთევზეობის კოლექტიური მეურნეობებისათვის 1934 წლის მეოთხე კვარტალისა და 1935 წლის განმავლობაში განსახორციელებლად, დატოვებულ იქნეს ძალაში.

7. საქართველოს სსრ სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგური ბათომში გადაიცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, და წინადადება მიეცეს ამ უკანასკნელს წარმოადგინოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 15-ისა პროექტი დადგენილებისა 1935 წელს თევზსამეურნეო სადგურის დაფინანსების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელმწიფო დაზღვევა

### 260. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 49 №-ი, მუხ. 390), რომლითაც შევსებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 19-ის დადგენილება „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ „გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ლიტერის „ზ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 24 №-ი, მუხ. 192) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ცხენი (კოლმეურნეთა კუთვნილი ცხენის გამოკლებით), ჯორ-ცხენი, ჯორი, ვირი, აქლემი 1 წლიდან—სიკვდილისაგან“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი.

---

## ვაჭრობა. მომარაგება

### 261. დადგენილება ს.კ.ს.

**1934—1935 წელს დაფნის ფოთლის დამზადების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე დაფნის ფოთლის ერთადერთ დამმზადებლად ცნობილ იქნეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა („საქხილბოსტანი“), რომელიც დამზადებას აფხაზეთის ასსრ-ში ანხორციელებს „აფსოფდამზადების“ მეშვეობით.

**2.** აეკრძალოს ყველა სხვა ორგანიზაციას, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულის გარდა, დაფნის ფოთლის დამზადება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის III მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1934 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

---

## კავშირგაბმულობა

### 262. დადგენილება ს.კ.ს.

#### რადიო-მომსახურეობის სასყიდლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს რა, რომ ცალკეული ორგანიზაციები და პირები იჩენენ რადიო-მომსახურეობის უსასყიდლოდ გამოყენების ტენდენციას, რაც არღვევს არსებულ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინას და ჰქმნის დაბრკოლებას და სიძნელეს სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიებისათვის რადიო-მომსახურეობის გაწევის საქმეში, ადგენს:

1. მიეცეს კატეგორიული წინადადება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს—დააკმაყოფილოს ორგანიზაციების და ცალკეული პირების განაცხადები სხვადასხვა ღონისძიებისა და კამპანიისათვის რადიოთი მომსახურეობის გაწევის შესახებ მხოლოდ სასყიდლით, რაც დადგენილ იქნება ხელშეკრულებით მომსახურეობის ნამდვილი ღირებულების ანგარიშის კვალობაზე ან ნიხრის მიხედვით.

2. აეკრძალოს ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და ცალკეულ პირს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოსაგან უსასყიდლოდ რადიო-მომსახურეობის გაწევის მოთხოვნა, და წინადადება მიეცეს მათ გამოიყენონ რადიო-მომსახურეობა მხოლოდ იმ სახსრის ფარგლებში, რაც მათ ხელთაა ამ მიზნისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1934 წ. სექტემბრის 28.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

**ხელის მოწერის ფასი 1935 წლისათვის**

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე 5 მან.

---

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა

საქართველოს სსრ მ/გ მთავრობის კანონების გამოცემანი

**თურქულ და სომხურ ენაზე**

[დამატებითი სია.—ძირითადი სია იხ. კან. კრ. 1934 წ. № 21]

დებულებანი, დადგენილებანი, წესდებანი

დებულება სასოფლო საბჭოსთან არსებული მეცხოველეობის სექციების შესახებ. 1934.

დებულება სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიებს შესახებ 1934.

---

## УПРАВЛЕНИЕ ДЕЛАМИ СОВЕТА НАРОДНЫХ КОМИССАРОВ и ЭКОНОМИЧЕСКОГО СОВЕЩАНИЯ ССРГ

**Издания законов Р/К Правительства ССР Грузии на тюркском и армянском языках**

[Дополнительный список.—Основн. сп. см. С. З. 1934 г. № 21].

**Положения, постановления, уставы.**

Положение о секциях по животноводству сельских советов. 1934.

Положение о ревизионных комиссиях при сельских советах, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განრიგება

## საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

**უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს**

| №№ რიგზე | დაწესებულებანი | ცალების რიცხვი |
|---|---|---|
| 1 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს | 5 |
| 2 | სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს | 2 |
| 3 | სასოფლო საბჭოებს | 1 |
| 4 | საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს | 3 |
| 5 | საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს | 7 |
| 6 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს | 2 |
| 7 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს | 3 |
| 8 | საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს | 12 |
| 9 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს | 5 |
| 10 | სახალხო სასამართლოებს | 1 |
| 11 | სარაიონო პროკურორებს | 1 |
| 12 | სახალხო გამომძიებლებს | 1 |

ფასი 40 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 68 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 3/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII; ტირაჟი 1.600.

მთავ. რწმუნ. ს—№ 8713. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1817

დამტკიცებისა და ბ) ბრუნვაგარეშე ფასეულობათა—ხუთი წლის ვადაზე, დაწყებული 1935 წლიდან, ყოველკვარტალურ თანაბარ ნაწილებად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და „ცეკავშირს“—მოაწყონ მიღება-ჩაბარების კომისია მიმღები და ჩამბარებელი ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთაგან.

4. დასკვნითი ბალანსის შედგენის ვადად დანიშნულ იქნეს 1934 წ. დეკემბრის 15.

5. მიენდოს „ცეკავშირს“ — შემოიტანოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში აღნიშნული სადგურის მუშაობის გაფართოებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროექტი ამ სადგურის საფრინველო-სამრეწველო ფაბრიკად გადაკეთების მიზნით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 28.
ტფილისი.

---

## სათევზო და სანადირო მეურნეობა

### 259. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ სათევზო და ზღვის მხეცთა ხოცვის მრეწველობის ტრესტი—„საქთევზი“, და მოქცეულ იქნეს მასში:

ა) ბათომის სარაიონო სათევზო ქარხანა, მასზე სანავეშენებლო-სარემონტო სახელოსნოს (ბათომში) მიერთებით, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დამხმარე ცეხის სახით;

ბ) ფოთის სარაიონო სათევზო ქარხანა;

გ) ტფილისის სარაიონო სათევზო სარეწ.-ო;

დ) ზღვის მხეცთა ხოცვის სარეწაო;

ე) სათევზო მეურნეობა „ჯაპანა“, მასზე მშენებლობაში მყოფი სატბო მეურნეობების „აბაშისა“ (ტობოგის ტბა) და „სამტრედის“ მიერთებით;

ვ) „თევზმხეცმომარაგებაგასაღება“.

2. აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე მყოფი საწარმონი გამოყოფილ იქნეს საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოდან და გადაიცეს აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებ-

ლობაში, ხოლო საქართველოს სსრ სათევზო მრეწველობის სამმართველოს გამგე-მებულ იქნეს.

3. ტრესტ „საქთევზის" შტატი დამტკიცებულ იქნეს 29 $^{1}/_{2}$ საშტატო ერთეულის რაოდენობით, დაეკისროს რა ტრესტ „საქთევზის" აპარატს აგრეთვე ტფილისის სათევზო სარეწაოს და „თევზმხეცმომარაგებაგასაღების" მომსახურეობა.

4. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) განსაზღვროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ტრესტის საწესდებო კაპიტალი 1935 წ. იანვრის 1-ლის ბალანსის მდგომარეობის მიხედვით;

ბ) დაამტკიცოს ტრესტის წესდება;

გ) წარმოადგინოს დასამტკიცებლად ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებული პროექტი დადგენილებისა ტრესტ „საქთევზისათვის" 1935 წელს საბრუნავი სახსრის მიცემის შესახებ.

5. დაეკისროს ტრესტ „საქთევზს" წარმოების ხელმძღვანელობა და მეთევზეთა საკოლმეურნეო ცენტრიდან გამოყოფილ მეთევზეობის კოლექტიურ მეურნეობათა საწარმოო მომარაგება, და მიეცეს მას წინადადება, კოლექტიური მეურნეობის წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშაოს ერთი თავის ვადაზე ტიპური ხელშეკრულება, რომლითაც რეგლამენტირებულ იქნება კოლექტიური მეურნეობებისა და სახმრეწველობის ურთიერთობა თევზის ნედლეულის ჩაბარების და სასყიდლის გადახდის და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო მომარაგების განხორციელების სფეროში, და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

6. სახელმწიფოსათვის თევზის ნედლეულის მტკიცე ჩაბარების გეგმა, რაც დამტკიცებულია საკავშირო საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს სსრ მეთევზეობის კოლექტიური მეურნეობებისათვის 1934 წლის მეოთხე კვარტალისა და 1935 წლის განმავლობაში განსახორციელებლად, დატოვებულ იქნეს ძალაში.

7. საქართველოს სსრ სამეცნიერო თევზსამეურნეო სადგური ბათომში გადაეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს გამგებლობაში, და წინადადება მიეცეს ამ უკანასკნელს წარმოადგინოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, არა უგვიანეს 1934 წ. დეკემბრის 15-ისა პროექტი დადგენილებისა 1935 წელს თევზსამეურნეო სადგურის დაფინანსების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნკევიჩი.

1934 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო დაზღვევა

## 260. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 49 №-ი, მუხ. 390), რომლითაც შევსებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივლისის 19-ის დადგენილება „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სოფლებსა და ქალაქებში 1935 წელს სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ „გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 4-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ლიტერის „ზ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 24 №-ი, მუხ. 192) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ცხენი (კოლმეურნეთა კუთვნილი ცხენის გამოკლებით), ჯორ-ცხენი, ჯორი, ვირი, აქლემი 1 წლიდან—სიკვდილისაგან“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი.

---

# ვაჭრობა. მომარაგება

## 261. დადგენილება ს.კ.ს.

**1934—1935 წელს დაფნის ფოთლის დამზადების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე დაფნის ფოთლის ერთადერთ დამმზადებლად ცნობილ იქნეს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა („საქხილბოსტანი“), რომელიც დამზადებას აფხაზეთის ასსრ-ში აწარმოებს „აფსოფდამზადების“ მეშვეობით.

2. აეკრძალოს ყველა სხვა ორგანიზაციას, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულის გარდა, დაფნის ფოთლის დამზადება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამა დადგენილების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის III მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1934 წ. ნოემბრის 27.
ტფილისი.

---

## კავშირგაბმულობა

### 262. დადგენილება ს.კ.ს.

**რადიო-მომსახურეობის სასყიდლის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, აღნიშნავს რა, რომ ცალკეული ორგანიზაციები და პირები იჩენენ რადიო-მომსახურეობის უსასყიდლოდ გამოყენების ტენდენციას, რაც არღვევს არსებულ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინას და ჰქმნის დაბრკოლებას და სიძნელეს სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიებისათვის რადიო-მომსახურეობის გაწევის საქმეში, ადგენს:

1. მიეცეს კატეგორიული წინადადება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოს—დააკმაყოფილოს ორგანიზაციების და ცალკეული პირების განაცხადები სხვადასხვა ღონისძიებისა და კამპანიისათვის რადიოთი მომსახურეობის გაწევის შესახებ მხოლოდ სასყიდლით, რაც დადგენილ იქნება ხელშეკრულებით მომსახურეობის ნამდვილი ღირებულების ანგარიშის კვალობაზე ან ნიხრის მიხედვით.

2. აეკრძალოს ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და ცალკეულ პირს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამმართველოსაგან უსასყიდლოდ რადიო-მომსახურეობის გაწევის მოთხოვნა, და წინადადება მიეცეს მათ გამოიყენონ რადიო-მომსახურეობა მხოლოდ იმ სახსრის ფარგლებში, რაც მათ ხელთაა ამ მიზნისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ყურულაშვილი.
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1934 წ. სექტემბრის 28.
ტფილისი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა


## საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებულის

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

**ხელის მოწერის ფასი 1935 წლისათვის**

(თვითეული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე 5 მან.


## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა

საქართველოს სსრ მ/გ მთავრობის კანონების გამოცემანი

**თურქულ და სომხურ ენაზე**

[დამატებითი სია.—ძირითადი სია იხ. კან. კრ. 1934 წ. № 21]

**დებულებანი, დადგენილებანი, წესდებანი**

დებულება სასოფლო საბჭოსთან არსებული მეცხოველეობის სექციების შესახებ. 1934.

დებულება სასოფლო საბჭოსთან არსებული სარევიზიო კომისიებზე შესახებ 1934.

## УПРАВЛЕНИЕ ДЕЛАМИ
## СОВЕТА НАРОДНЫХ КОМИССАРОВ и ЭКОНОМИЧЕСКОГО СОВЕЩАНИЯ ССРГ

Издания законов Р/К Правительства ССР Грузии на тюркском и армянском языках

[Дополнительный список.—Основн. сп. см. С. З. 1934 г. № 21].

**Положения, постановления, уставы.**

Положение о секциях по животноводству сельских советов. 1934.

Положение о ревизионных комиссиях при сельских советах, 1934.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განრიგება

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

## კანონთა და განკარგულებათა კრებულის

**უფასოდ დაგზავნისათვის 1935 წელს**

| №№ რიგზე | დაწესებულებანი | ცალების რიცხვი |
|---|---|---|
| 1 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . . . . . . . | 5 |
| 2 | სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . | 2 |
| 3 | სასოფლო საბჭოებს . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 4 | საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . . . . . . . | 3 |
| 5 | საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . | 7 |
| 6 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . | 2 |
| 7 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . . . . . . . . . | 3 |
| 8 | საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს. . . . . . . . . . | 12 |
| 9 | ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . . . . . . . . | 5 |
| 10 | სახალხო სასამართლოებს . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 11 | სარაიონო პროკურორებს . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |
| 12 | სახალხო გამომძიებლებს . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1 |

ფასი 40 კაპ.

**გამომცემელი** საქ. სსრ. ს.კ. ს-თან საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 68 პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; $^3/_4$ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 3/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII; ტირაჟი 1.600.

მთავ. რწმუნ. ს—№ 8713. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1817